



პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება 2024

სს ჰეშ ბანკი



სარჩევი

მიმოხილვა.....	3
ბანკის შესახებ ზოგადი ინფორმაცია.....	3
ბანკის შესახებ ფინანსური და საზედამხედველო ინფორმაცია	3
კორპორაციული მმართველობა.....	6
რისკის მართვა	15
ბანკის სტრატეგია და მასთან დაკავშირებული რისკები	22
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ანგარიშგება.....	22
ანაზღაურების პოლიტიკა.....	22
ტერმინების განმარტება	25



მიმოხილვა

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) პრეზიდენტის 92/04 ბრძანების თანახმად, კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოქვეყნება მათ რისკ-პროფილთან და რისკის დასაშვებ დონესთან, კორპორაციულ მართვასა და ანაზღაურების პოლიტიკასთან დაკავშირებით წლიური პერიოდულობით.

სს „ჰემ ბანკის“ დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი და სამეთვალყურეო საბჭო ადასტურებენ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის პილარ 3-ის წლიურ ანგარიშში (შემდგომში „ანგარიში“) წარმოდგენილი მონაცემებისა და ინფორმაციის ნამდვილობასა და სიზუსტეს. ანგარიში მომზადებულია რეგულაციისა და სებ-ის მიერ დადგენილი სხვა წესებისა და ნორმების, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცედურების სრული დაცვით. რეგულაცია არ მოითხოვს ანგარიშის აუდიტს და ამ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, როგორც ასეთი, არ არის აუდირებული.

ანგარიში მომზადებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე და ხელმისაწვდომია სს „ჰემ ბანკის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდებზე.

ბანკის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

სს „ჰემ ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ 2022 წლის 17 აგვისტოს რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405555359. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 ნოემბრის #260 განკარგულების საფუძველზე სს „ჰემ“-ს მიენიჭა საბანკო საქმიანობის ლიცენზია ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპებზე დაყრდნობით. შესაბამისად, სს „ჰემ“-ს ნება დაერთო სახელწოდების ცვლილებაზე და ბანკის მითითებაზე იურიდიული პირის დასახელებაში. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 20 სექტემბრის #372 განკარგულებით ბანკს უფლება მიეცა რეალურ გარემოში განხორციელებინა „კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბანკო საქმიანობები ან/და მათთან დაკავშირებული მომსახურება. ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი N71.

ბანკის შესახებ ფინანსური და საზედამხედველო ინფორმაცია

სს „ჰემ ბანკის“ 2024 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება ფასს-ის საფუძველზე ერთეულ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში):

	ლარი	უცხ. ვალუტა	სულ
საპროცენტო შემოსავალი	989 727	-	989 727
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	985 746	-	985 746
სხვა აქტივები	3 981	-	3 981
(საპროცენტო ხარჯები)	(66)	-	(66)
(სხვა ვალდებულებები)	(66)	-	(66)
საკომისიო შემოსავალი	511	95	606
(საკომისიო ხარჯი)	(32 795)	(229 403)	(262 198)
საკურსო სხვაობა [შემოსულობა ან (-) ზარალი], წმინდა	(6 573)	-	(6 573)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	895	-	895
(სხვა საოპერაციო ხარჯი)	(760 299)	-	(760 299)
(ადმინისტრაციული ხარჯები)	(5 105 883)	(323 237)	(5 429 120)
(შრომის ანაზღაურების ხარჯი)	(4 737 321)	-	(4 737 321)
(სხვა ადმინისტრაციული ხარჯი)	(368 562)	(323 237)	(691 799)
(ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები)	(236 812)	-	(236 812)
(გაუფასურება ან (-) გაუფასურების ანუღირება იმ ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით)	(44 287)	(1 373)	(45 660)
(ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები)	(44 287)	(1 373)	(45 660)
მოგება ან (-) ზარალი დაბეგვრამდე	(5 195 582)	(553 918)	(5 749 500)
(მოგების გადასახადის ხარჯი ან (-) შემოსავალი)	414 083	-	414 083
მოგება ან (-) ზარალი დაბეგვრის შემდეგ	(4 781 499)	(553 918)	(5 335 417)



სს „პეკ ბანკის“ 2024 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ფასს-ის საფუძელზე ერთეულ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში):

	ლარი	უცხ. ვალუტა	სულ
ნადდი ფული, ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნული ბანკში და სხვა ბანკებში	16 703 597	425 094	17 128 691
ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	13 405	102	13 507
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	16 690 192	424 992	17 115 184
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	6 067 389	-	6 067 389
სავალო ფასიანი ქაღალდები	6 067 389	-	6 067 389
მატერიალური აქტივები	1 195 042	-	1 195 042
ძირითადი საშუალებები	1 195 042	-	1 195 042
არამატერიალური აქტივები	3 650 881	-	3 650 881
სხვა არამატერიალური აქტივები	3 650 881	-	3 650 881
საგადასახადო აქტივები	947 972	-	947 972
გადავადებული საგადასახადო აქტივები	947 972	-	947 972
სხვა აქტივები	1 062 058	140 340	1 202 398
სულ აქტივები	29 626 939	565 434	30 192 373
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	5 635	797	6 432
დეპოზიტები	5 635	797	6 432
საგადასახადო ვალდებულებები	10 988	-	10 988
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	10 988	-	10 988
სხვა ვალდებულებები	352 314	220 973	573 287
სულ ვალდებულებები	368 937	221 770	590 707
სააქციო კაპიტალი	37 072 000	-	37 072 000
პრივილეგირებული აქციები	2 100	-	2 100
გაუნაწილებელი მოგება	(7 472 434)	-	(7 472 434)
სულ საკუთარი კაპიტალი	29 601 666	-	29 601 666

კომერციულ ბანკებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული 2013 წლის 28 ოქტომბრის N100/04 ბრძანებით „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ევალებათ კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების სავალდებულო დაცვა. ეროვნული ბანკის მიერ 2017 წლის 18 დეკემბერს გამოშვებული დამატებითი ბრძანების N175/04 თანახმად ჰილარ 1-ის ფარგლებში, მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 4.5%;
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 6%;
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 8%;

კომერციულ ბანკებს ასევე დაუწესდათ კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის, კონტრციკლური ბუფერისა და სისტემურობის ბუფერისგან. კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი განისაზღვრება რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 2.5%-ის ოდენობით. კონტრციკლური ბუფერის დაცვა კი ხდება ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტების მეშვეობით და განისაზღვრება რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი აქტივების 0%-დან 2.5%-მდე შუალედში.



პილარ 2-ის ფარგლებში ბანკებისთვის განისაზღვრება კაპიტალის დამატებითი ბუფერი იმ რისკებისთვის, რომელსაც არ მოიცავს "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით" დაწესებული პილარ 1-ის მოთხოვნები. აღნიშნული რეგულირდება "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესით".

პილარ 2-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ ბუფერებს:

- არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი;
- წმინდა GRAPE ბუფერი;

პილარ 1-ის რეგულაციების მიხედვით კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა მისი საზედამხედველო კაპიტალით განისაზღვრება, რომელშიც ჩართული უნდა იყოს ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომერციული ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის პრინციპებს. საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისაგან:

- პირველადი კაპიტალი, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან
 - ძირითადი პირველადი კაპიტალი
 - დამატებითი პირველადი კაპიტალი
- მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო კაპიტალი)

პირველადი კაპიტალი შედგება ისეთი ინსტრუმენტებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ზარალის უპირობოდ მათი წარმოქმნისთანავე დაფარვა ისე, რომ კომერციულმა ბანკმა შეძლოს თავისი საქმიანობის შეფერხების გარეშე გაგრძელება. პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები კომერციულ ბანკს უნდა აძლევდეს გადახდების განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ (მათი გადაუხდელობა არ უნდა იწვევდეს კომერციული ბანკის დეფოლტს) და ზარალის დაფარვისათვის მათი სრულად გამოყენების შესაძლებლობას.

ცხრილში მოცემულია სს „პემ ბანკის“ ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც დაანგარიშებულია ფასს-ის საფუძველზე კვარტლების მიხედვით ერთეულ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში):

ძირითადი მაჩვენებლები	4Q-2024	3Q-2024	2Q-2024	1Q-2024	4Q-2023
საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)					
ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
ძირითადი პირველადი კაპიტალი	12 685 653	4 543 919	5 079 707	5 357 340	6 188 668
პირველადი კაპიტალი	12 687 753	4 546 019	5 081 807	5 359 440	6 190 768
საზედამხედველო კაპიტალი	12 687 753	4 546 019	5 081 807	5 359 440	6 190 768
ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	1 614 605	2 478 000	2 445 618	1 831 269	2 009 960
პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	1 869 126	2 968 576	2 919 663	2 195 505	2 419 053
საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	2 208 473	3 622 678	3 551 723	2 681 152	2 964 512
რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)					
რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	16 911 199	32 704 941	31 603 003	24 282 377	27 272 904
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები (%) ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	75,01%	13,89%	15,53%	22,06%	22,69%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	75,03%	13,90%	15,54%	22,07%	22,70%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	75,03%	13,90%	15,54%	22,07%	22,70%
ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	9,55%	7,58%	7,48%	7,54%	7,37%
პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	11,05%	9,08%	8,93%	9,04%	8,87%
საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	13,06%	11,08%	10,86%	11,04%	10,87%
მომგებიანობა					
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	6,81%	6,45%	6,66%	6,44%	5,09%



ძირითადი მაჩვენებლები	4Q-2024	3Q-2024	2Q-2024	1Q-2024	4Q-2023
საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	4,96%	4,98%	6,59%	6,34%	4,82%
წმინდა საპროცენტო მარჟა	6,81%	6,45%	6,66%	6,44%	5,09%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROAA)	-36,69%	-37,98%	-34,47%	-42,47%	-32,59%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROAE)	-37,40%	-38,73%	-34,99%	-42,86%	-32,62%
აქტივების ხარისხი					
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	1,87%	2,83%	0,05%	0,01%	-
ლიკვიდობა					
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	56,73%	23,85%	21,90%	2,06%	54,43%
უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	37,54%	1,23%	23,49%	-	-
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	0,02%	-	-	-	-
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი					
ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება	25 008 293	8 009 319	10 657 680	-	-
სტაბილური დაფინანსების საჭიროება	10 664 731	3 061 980	5 300 494	-	-
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (%)	234,50%	261,57%	201,07%	-	-

ცხრილში მოცემულია სს „პემ ბანკის“ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები, რომლებიც დაანგარიშებულია ფასს-ის საფუძელზე კვარტლების მიხედვით ერთეულ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში):

	4Q-2024	3Q-2024	2Q-2024	1Q-2024	4Q-2023
უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ	102	20	-	-	-
უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ	13 063 653	1 250 495	1 818 064	2 532 966	1 131 025
ძირითადი საშუალებები	1 195 042	589 363	562 013	526 879	472 000
გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც არ გამოიქვითა ძირითადი პირველადი კაპიტალიდან	-	122 687	13 793	-	70 169
სხვა აქტივები	1 202 398	1 491 640	1 216 645	652 295	49 514
საბალანსო ელემენტები	15 461 195	3 454 205	3 610 514	3 712 140	1 722 708
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	343 664	346 505	-	67 759	730
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	1 106 340	28 904 231	27 992 489	20 502 478	25 549 466
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	16 911 199	32 704 941	31 603 003	24 282 377	27 272 904

კორპორაციული მმართველობა

ბანკის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ბანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ. ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო.

აღსანიშნავია, რომ ბანკში მმართველ ორგანოთა კომპეტენციები დაბალანსებულია, რაც უზრუნველყოფს ფუნქციების სათანადო გადანაწილებას.

დირექტორთა საბჭო ხელმძღვანელობს, მათ შორის აკონტროლებს ბანკის რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემებს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის # 215/04 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად. დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრი, დირექტორი ვალდებულია დაკისრებული მოვალეობები წარმართოს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება „დირექტორთა საბჭოს“ საქმიანობაში მონაწილეობას, ანგარიშვალდებულებას სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების წინაშე.



„დირექტორთა საბჭოს“ კომპეტენციას წარმოადგენს, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად:

- ბანკის ბიზნეს სტრატეგიის აღსრულება;
- ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტური სისტემების შექმნა;
- რისკის კულტურის განვითარებისა და დამკვიდრების ხელშეწყობა;
- პროცესებისა და კონტროლის მექანიზმების უზრუნველყოფა;
- ანაზღაურების სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აუცილებელია საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის, სულ მცირე იმ ფორმატითა და სიხშირით, რასაც დაადგენს სამეთვალყურეო საბჭო და შესაბამისი კომიტეტები, ასევე დამატებით იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელსაც დირექტორთა საბჭო ჩათვლის საჭიროდ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

ბანკის წილის მფლობელი აქციონერები

სს „ჰემ ბანკის“ აქციების დაყოფილია ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის აქციებად. ჩვეულებრივი კლასის აქცია მის მფლობელს ანიჭებს ხმის უფლებას, ხოლო პრივილეგირებული კლასის აქცია ხმის უფლებას ანიჭებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევაში. ამასთან, პრივილეგირებული აქციის უპირატესობა გამოიხატება დივიდენდის გაცემისას პირველ რიგში პრივილეგირებული წილის მფლობელის მოთხოვნის დაკმაყოფილებით.

ჩვეულებრივი კლასის აქციები: 207,900 აქცია.

პრივილეგირებული კლასის აქციები: 2,100 აქცია.

ბანკის ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის მფლობელი აქციონერები არიან:

ვოლოდიმირ ნოსოვი: 103,950 ჩვეულებრივი კლასის აქცია, სულ ჩვეულებრივი კლასის აქციების 50%;
სულხან პაპაშვილი: 63,409 ჩვეულებრივი კლასის აქცია, სულ ჩვეულებრივი კლასის აქციების 30.5%;
ლაშა პაპაშვილი: 40,541 ჩვეულებრივი კლასის აქცია, სულ ჩვეულებრივი კლასის აქციების 19.5%;
ნანა ქებურია: 2,100 პრივილეგირებული კლასის აქცია, სულ პრივილეგირებული კლასის აქციების 100%;

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ჩვეულებრივი კლასის აქციონერთა სტრუქტურა ასე გამოიყურება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვოლოდიმირ ნოსოვი	50,0 %	50,0 %
სულხან პაპაშვილი	30,5 %	30,5 %
ლაშა პაპაშვილი	19,5 %	19,5 %
	100,0%	100,0%

ბანკის აქციონერთა საერთო კრება

ბანკის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა მორიგი ან რიგგარეშე კრებების სახით, ხოლო კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება წილის მფლობელ აქციონერებს ეცნობებათ 21 დღით ადრე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე ნახევარი. აქციონერთა საერთო კრების საადრიცხვო თარიღისათვის აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებული ყველა აქციონერი უფლებამოსილია დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების შესაბამისად, პრივილეგირებული აქციები არ იძლევა ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია უზრუნველყოს: ბანკის წესდების დამტკიცება და შეცვლა; განთავსებული კაპიტალის ცვლილება; სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, ვადამდე გამოწვევა, რაოდენობრივი შემადგენლობის განსაზღვრა, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დადგენა; ბანკის აუდიტის ანგარიშის დამტკიცება, ფინანსური ანგარიშის დამტკიცება და დივიდენდის განაწილება; წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

2024 წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა აქციონერთა 7 საერთო კრება და აღნიშნულ კრებებზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილულ და გადაწყვეტილ იქნა ბანკის განთავსებული კაპიტალის ცვლილება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ცვლილება.



სამეთვალყურეო საბჭო

ბანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო. წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციაა ეფექტური კორპორაციული მმართველობისა და რისკების მართვის უზრუნველყოფა, მენეჯმენტის მიერ ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულების ზედამხედველობა; ბანკის მარეგულირებელ და სამეთვალყურეო მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ბანკის რისკის აპეტიტის დადგენა ღირებულორთა საბჭოსთან და რისკების მართვის ღირებულორთან კოორდინაციით; საბჭო აგრეთვე აკონტროლებს ღირებულორთა საბჭოს საქმიანობას და აფასებს ღირებულორთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას და ახორციელებს ღირებულორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებას მისი გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად. საბჭო ამტკიცებს ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებას და ამოწმებს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების სრულად ინტეგრირებას ბანკის რისკების მართვის ჩარჩოში.

საბჭოს სხდომები ემყარება ღია დიალოგის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და წევრებს აქვთ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. გადაწყვეტილებები მიიღება გამჭვირვალედ, ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ ბანკის რეგულაციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ 2024 წლის განმავლობაში უზრუნველყო 8 სხდომის გამართვა, რომელთა ნაწილი შეეხება ბანკის ღირებულორთა საბჭოში ცვლილებებს, მათ შორის ღირებულორთა საბჭოს თავმჯდომარის იმავე გენერალური ღირებულორის ცვლილებას. საბჭოს გადაწყვეტილებები და მასთან დაკავშირებული მასალა მუდმივად ეგზავნებოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

ცხრილში ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით:

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა	დამოუკიდებლობის სტატუსი
ლამა ჰაპაშვილი	არადამოუკიდებელი თავმჯდომარე
მერაბ კაკულია	დამოუკიდებელი წევრი
გოჩა მაცაბერიძე	დამოუკიდებელი წევრი
თეონა მაკალათია	არადამოუკიდებელი წევრი
ნანა ქებურია	არადამოუკიდებელი წევრი

სამეთვალყურეო საბჭოს ინკლუზიური მრავალფეროვნება

სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფილია გენდერული ინკლუზიურობა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის # 215/04 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 40% უნდა შედგებოდეს განსხვავებული სქესის (უმცირესობაში მყოფი) წარმომადგენლებისგან. სს „ჰემ ბანკი“ 2023 წლიდან აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრიდან 2 წევრი ქალია.

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

“კომერციული ბანკების საქმიანობის” შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომერციული ბანკები, მიუხედავად მათი ზომის, კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებული არიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას სულ მცირე, აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტები. სს „ჰემ ბანკის“ მიერ აღნიშნული ვალდებულება ჯეროვნადაა შესრულებული.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომიტეტი შედგება 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც იმავდროულად არიან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ამასთან, კომიტეტის სამი წევრიდან ორ დამოუკიდებელი წევრია, დამოუკიდებელი წევრი წარმოადგენს კომიტეტის თავმჯდომარეს.

კომიტეტის წევრი ინიშნება 3 წლის ვადით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ორი დამატებითი სამწლიანი



ვადით. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია: განსაზღვროს შიდა კონტროლის საკითხებთან მიმართებაში ბანკის მიდგომები და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა; მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს და დაამტკიცოს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებები; მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს ბანკის შიდა და გარე აუდიტორებთან; უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და მათი ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა; შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით; განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს ღირეუტორების მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარება; განიხილოს და დაამტკიცოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის მასშტაბი და ჩატარების სიხშირე; მიიღოს შიდა აუდიტის ინდივიდუალური შემოწმების შედეგების ამსახველი ანგარიშები და საქმიანობის პერიოდული საანგარიშგებო ინფორმაცია და უზრუნველყოს ღირეუტორთა საბჭოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; მონიტორინგი გაუწიოს ბანკის საადრინგვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას; უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის სამართლიანობა, სისრულე და შესაბამისი კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობა; განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები ბანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და სტრუქტურის თაობაზე;

რისკების კომიტეტი

რისკები კომიტეტი აუდიტის კომიტეტის მსგავსად წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომიტეტი შედგება 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც იმავდროულად არიან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ამასთან, კომიტეტის სამი წევრიდან ორ დამოუკიდებელი წევრია, დამოუკიდებელი წევრი წარმოადგენს კომიტეტის თავმჯდომარეს.

რისკების კომიტეტი განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ქრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე; ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, ყოველწლიურად; მონიტორინგს უწევს ღირეუტორთა საბჭოს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება ღირეუტორთა საბჭოს მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების მართვის ღირეუტორის საქმიანობას; რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე; მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა; განიხილავს სხვადასხვა შესაძლო სცენარებს, მათ შორის, სტრეს სცენარებს, რათა შეაფასოს სხვადასხვა გარე და შიდა მოვლენის გავლენა ბანკის რისკის პროფილზე; რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია, შეაფასოს შეთავაზებულ ფინანსურ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებული რისკები და გაითვალისწინოს ამ პროდუქტებისა და სერვისების ფასის შესაბამისობა მათგან მიღებულ მოგებასთან; აფასებს შიდა და გარე აუდიტორის რეკომენდაციებს და აუდიტის კომიტეტთან თანამშრომლობით მონიტორინგს უწევს შესაბამისი ზომების განხორციელებას;

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ბიოგრაფიები

ლაშა პაპაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ლაშა პაპაშვილის აკადემიური და პროფესიული კარიერა მჭიდროდაა დაკავშირებული ფინანსურ სექტორსა და ბიზნესის განვითარებასთან. ლაშა პაპაშვილი ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს სამართალმცოდნეობაში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იგი აქტიურად ჩაერთო სამეწარმეო საქმიანობაში.

საბანკო სფეროში მისი საქმიანობა დაიწყო 1996 წელს, როდესაც დაინიშნა სს “ბანკ რესპუბლიკის” ზედამხედველობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1998 წლის მარტში გახდა სს “ბანკ რესპუბლიკის” გენერალური დირექტორი და აკონტროლებდა ბანკის სტრატეგიულ განვითარებასა და ოპერაციულ საქმიანობას. 2002 წლისთვის იგი ხდება ბანკის უმსხვილესი აქციონერი, რითაც კიდევ უფრო განმტკიცდა მისი ხელმძღვანელობითი როლი. 2004 წელს დაინიშნა სს “ბანკ რესპუბლიკის” ზედამხედველობის საბჭოს თავმჯდომარედ.



2006 წელს ლაშა პაპაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ფინანსურ სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, დადო რა რეგიონისათვის უპრეცედენტო გარიგება Soci t  G n rale S.A-სთან — ევროზონის ერთ-ერთ უმსხვილეს საბანკო ჯგუფთან, რომელმაც შეიძინა სს “ბანკ რესპუბლიკის” 60%-იანი წილი. გარიგებაში ასევე მონაწილეობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), რომელმაც ბანკის კაპიტალში 10%-იანი წილი შეიძინა. აღნიშნული გარიგება გახდა პირველი და უმნიშვნელოვანესი უცხოური ინვესტიცია საქართველოს ფინანსურ სექტორში ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

2007 წელს ლაშა პაპაშვილმა დააფუძნა დეველოპერული და აქტივების მართვის კომპანია შპს “რედისი”, რომელიც დღესდღეობით საქართველოში უმსხვილესი ბიზნეს ჯგუფია. ლაშა პაპაშვილის ხელმძღვანელობით კომპანიამ უზრუნველყო პორტფელის დივერსიფიკაცია სტუმარ-მასპინძლობის სექტორში, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის გაფართოებით, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით აქტიური განვითარებით, რაც კომპანიას რეგიონის მასშტაბით ლიდერის პოზიციაზე აყენებს.

2023 წელს ლაშა პაპაშვილი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სს “ჰემი” წილის მფლობელ აქციონერი ხდება, ხოლო 2024 წელს, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის წარმატებით მიღების შემდეგ, ლაშა პაპაშვილი დამტკიცებულ იქნა სს „ჰემ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

გოჩა მაცაბერიძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

გოჩა მაცაბერიძე თავისი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის განმავლობაში არაერთხელ იკავებდა მკაცრად რეგულირებულ ბიზნესში სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას. მას ფართო და მრავალმხრივი გამოცდილება აქვს ფინანსურ სექტორში, თუმცა მისი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კერძო სექტორით, იგი წარმოადგენდა მაღალი დონის სახელმწიფო მოხელეს, იკავებდა რა საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილის პოზიციას, ხოლო მოგვიანებით მისი ბიოგრაფია დაუკავშირდა არაერთ კომერციულ ბანკსა და სადაზღვევო კომპანიას.

1988-1991წწ. საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე;
1991-1992წწ. სს „ბანკი რესპუბლიკა“- გენერალური დირექტორი;
1991-2004წწ. სს „ბანკი რესპუბლიკა“- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
2002-2005წწ. სს „სადაზღვევო კომპანია სელბი“ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2005-2006წწ. სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2006–2009წწ სს „ბანკი რესპუბლიკა“- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2018–2022წწ სს „ვითიბი ბანკი საქართველო“ – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2001-დღემდე გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ქართულ-ამერიკული აკადემია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2022-დღემდე სს „ჰემ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

მერაბ კაკულია, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

მერაბ კაკულია სრულიად გამორჩეული ცოდნისა და გამოცდილების მატარებელია გააჩნია რა ფინანსურ სექტორში უწყვეტი, მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება და აკადემიური ხარისხი. იგი წარმოადგენს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, წლების განმავლობაში იკავებდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას, ხოლო კერძო სექტორში გახლდათ სს „კავკასიის განვითარების ბანკი“-ს და სს „ვითიბი ბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რაც ნათელი დემონსტრირებაა, რომ საბანკო სექტორს იცნობს ფუნდამენტურად, როგორც რეგულატორის, ასევე კომერციული ბანკის პერსპექტივიდან.

1987-1991წწ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასისტენტ პროფესორი;
1988-1989წწ. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ეკონომიკის მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების გამგე;
1989-1990წწ. ავსტრიულ ბანკში “ცენტრალურ შპარკასეს უნდ” (Zentralsparkasse.ქ. ვენა, ავსტრია) სტაჟიორი;
1992-1993წწ. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი;
1993-2005წწ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი.
2000-2005წწ. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მმართველი საქართველოდან და საერთაშორისო საანგარიშსწორებო სისტემა SWIFT-ის ეროვნული კოორდინატორი (1997-2005);
2002-2004წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი და პროფესორი;
2005-2010წწ. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) მთავარ ეკონომიკური ექსპერტი და ჟურნალ “საქართველოს ეკონომიკური ტენდენციების” მთავარ



რედაქტორი;

2005წლიდან: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

2013წლიდან: ფინანსური სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის

დირექტორი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლის პროფესორი;

2018-2022წწ: სს „ვითიბი ბანკი საქართველო“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;

2020წლიდან დღემდე: სს „საპარტნიორო ფონდი“ (ამჟამად: საქართველოს განვითარების ფონდი) რისკების მართვის და ანალიტიკის სამსახურის ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

2022წლიდან დღემდე: სს „პეშ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;

თეონა მაკალათია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის წევრი

თეონა მაკალათიას მინიჭებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის, მაგისტრის ხარისხი. ასევე, არის დოქტორანტობის კანდიდატი. ამავდროულად, აღრიცხვასა და ბიზნესის საკითხებში ფლობს ლონდონის სერტიფიცირებულ, ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის დიპლომს.

თეონა მაკალათიას ფინანსური სექტორის, კორპორაციული მმართველობის, აღრიცხვა-ანგარიშგების, კონტროლისა და აუდიტის მიმართულებით 20 წლიანი გამოცდილება აქვს, უშუალო სპეციალიზაცია მოიცავს ფინანსური სექტორის ფინანსური აუდიტის და ფინანსური სექტორის მენეჯმენტ კონსალტინგს.

წლების განმავლობაში თეონა საქმიანი ურთიერთობით იყო დაკავშირებული საქართველოს წამყვან საბანკო ინსტიტუტებთან, ასევე, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ნიდერლანდებში. თეონა იყო მსოფლიო ბანკისა და OECD-ის ექსპერტი, ასევე UNDP-ის ბიზნესის განვითარების ექსპერტი. ბოლო წლებში მისი სამუშაო გამოცდილება უკავშირდება საბანკო სექტორის სამეთვალყურეო საბჭოში საქმიანობას.

2002-2005წწ: საქმიანობდა სხვადასხვა აუდიტორულ კომპანიაში აუდიტორის პოზიციაზე;

2005-2006წწ: მპს „ჯეოვუდი“ ფინანსური დირექტორი;

2006 – 2018წწ: PricewaterhouseCoopers LLC მენეჯერი;

2018-2020წწ: GFA Consulting Group GmbH-ში ექსპერტი;

2018-2019წწ: სი-ეს-ეფ ჯგუფი, გენერალური დირექტორის მოადგილე;

2020-2022წწ: UNDP ბიზნესის განვითარების ექსპერტი;

2020-2022წწ: მსოფლიო ბანკი, ექსპერტი;

2021-2022წწ: სს „პროკრედიტ ბანკი საქართველო“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

2021წლიდან დღემდე: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

2023 წლიდან დღემდე: სს „პეშ ბანკი“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

ნანა ქებურია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის წევრი

ნანა ქებურიას გააჩნია 20 წლიანი უნიკალური გამოცდილება ფინანსურ სექტორში, ფინანსური ტექნოლოგიების, გადახდების და ლოიალობის სფეროში.

მისი კარიერა გამოირჩევა სტრატეგიული ხედვითა, ინოვაციური მიდგომებითა და ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებებით. ნანა ქებურია წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოში არაერთი კომერციული ბანკის მნიშვნელოვან ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას ფინანსური სერვისების განმახორციელებელ არაერთ კომპანიაში, სადაც უზრუნველყოფდა ინოვაციების დანერგვას, ოპერაციული პროცესების ეფექტურობას, პროდუქტების განვითარებასა და მომხმარებელთა ცნობადობის ამაღლებას. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, იშვიათი სკრუპულოზურობითა და მეთოდურობით ინოვაციური პროექტების მართვა, ასევე ძლიერი და მოტივირებული გუნდის ფორმირება და ზედამხედველობა.

1996-1998წწ: გაერთიანებულ საფინანსო კომპანია, საოპერაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

1998-2000წწ: სს „აბსოლუტ ბანკი“, საპროცესინგო ცენტრის უფროსი;

2000-2004წწ: სს „ქართუ ბანკი“, საპროცესინგო ცენტრის უფროსი;

2004-2004წწ: სს „სახალხო ბანკი“ საბარათო დეპარტამენტის უფროსი;

2004-2007წწ: სს „ჯორჯიან ქარდი“ დირექტორის მოადგილე;

2007-2014წწ: სს „ჯორჯიან ქარდი“ აღმასრულებელი დირექტორი;

2014-2016 წწ: მპს „პარსეკი“-ს (Tioto-ს ოფიციალური პარტნიორი საქართველოში) დამფუძნებელი და დირექტორი;

2014-2023 წწ: მპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“-ის დირექტორი;

2016-2023 წწ: მპს „ფეი უნიქარდი“-ს დირექტორი;



2022 წლიდან დღემდე: სს „ჰემ ბანკის“ პრივილეგირებული წილის მფლობელი აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

დირექტორთა საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრი, დირექტორი ვალდებულია საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება დირექტორთა საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობას, ანგარიშვალდებულებას სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების წინაშე, შეხვედრებში მონაწილეობას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება-აღსრულებას.

2024 წლის განმავლობაში სს „ჰემ ბანკის“ დირექტორთა საბჭო შედგებოდა 4 დირექტორისგან. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იგივე გენერალური დირექტორი.

დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა

ცხრილში ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით:

დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა	პოზიციის დასახელება/კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულება ბანკში
არმენ მატევესიანი	გენერალური დირექტორი
ირაკლი ჩახნაშვილი	ფინანსური დირექტორი
გიორგი ჩანადირი	ტექნოლოგიების დირექტორი
გიორგი ქმულაშვილი	რისკების მართვის დირექტორი

დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილება

დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- ბანკის ყოველდღიური ბიზნეს ოპერაციების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის, ბანკის სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს გეგმის, ბიუჯეტის, შიდა ნორმატიული დოკუმენტების და აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებების გადაწყვეტილებების შესაბამისად.
- კორპორაციული სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების შემუშავება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად.
- ბიზნეს გეგმის შემუშავება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად. ასევე, მათი შესრულების ანგარიშის წარდგენა;
- წლიური ბიუჯეტის შემუშავება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად. ასევე, მათი შესრულების ანგარიშის წარდგენა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის და აქციონერთა საერთო კრებაზე ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა ბანკის დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად. ასევე, მათი შესრულების ანგარიშის წარდგენა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად იმ გარიგებების წარდგენა, რომლებიც სცილდება კორპორაციული სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს გეგმის და ბიუჯეტის ფარგლებს (არასტანდარტული გარიგებები);
- ყოველდღიური საოპერაციო საბანკო საქმიანობების დამტკიცება, მათ შორის სასესიო სახსრების მოზიდვა, საკრედიტო და სავაჭრო დაფინანსების პროდუქტების გაცემა, სესხის რესტრუქტურირების დამტკიცება, ფიქსირებული აქტივების და არამატერიალური აქტივების შეძენის და გასხვისების, ადმინისტრაციული ხარჯების, ნაღდი ფულის ლიმიტების დამტკიცება, საჯარო კომპანიებში წილობრივი ინვესტიციების განხორციელება.
- ბანკის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნა, რომელიც ბანკის შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უნდა უზრუნველყოფდეს.
- საქართველოს კანონმდებლობით, სს „ჰემ ბანკის“ წესებითა და დირექტორთა საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორი ბანკის უმაღლესი აღმასრულებელი პირია. ბანკის აღმასრულებელი მმართველობის მხრიდან ბანკის შიდა ოპერაციებზე, შესაბამისობასა და საქმიანობაზე საბოლოო პასუხისმგებლობა გენერალურ დირექტორს ეკისრება. ამასთან, გენერალური დირექტორი, სხვა ფუნქციებთან ერთად, ასრულებს ბანკის



დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს დამაკავშირებელ ფუნქციას:

გენერალური დირექტორის ძირითადი ამოცანაა ბიზნეს სტრატეგიისა და გეგმების შემუშავება, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად; ბანკის ბიზნეს საქმიანობის და პროცესების მართვა და კონტროლი, კომპანიის სტრატეგიის და მისი შესრულების უზრუნველსაყოფად; ბანკის ეფექტური მართვა მისი მუდმივი ზრდისა და მომგებიანობის უზრუნველსაყოფად; თანამშრომლების მართვა და მოტივაცია, მათი ჩართულობა და დასახული მიზნის მიღწევა, მოქმედ კანონმდებლობასთან ბანკის შესაფერისობის უზრუნველყოფა.

გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

რისკების მართვის დირექტორი

რისკების მართვის დირექტორი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. რისკების მართვის დირექტორის უპირატესი პასუხისმგებლობაა ბანკის რისკების მართვა, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შესაბამისობის უზრუნველყოფით, რისკების აღკვეთით, იდენტიფიცირებით, შეფასებით, მიტიგაციით, მონიტორინგითა და ანგარიშგებით.

ტექნოლოგიების დირექტორი

ტექნოლოგიების დირექტორი (CTO) ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. მისი ძირითადი პასუხისმგებლობაა ბანკის ტექნოლოგიური სტრატეგიის განსაზღვრა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება და ციფრული ინოვაციების მართვა. ტექნოლოგიების დირექტორი უზრუნველყოფს ბანკის ტექნოლოგიური პლატფორმების უწყვეტ ფუნქციონირებას, კიბერუსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვას და ბიზნესპროცესების მხარდაჭერას უახლესი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მეშვეობით.

CTO-ს პასუხისმგებლობაში შედის ტექნოლოგიური არქიტექტურის დაგეგმვა და განხორციელება, სისტემების ინტეგრაციის მართვა, მონაცემთა ანალიზის და ავტომატიზაციის ინსტრუმენტების განვითარება, IT-სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და ტექნოლოგიური გუნდის ხელმძღვანელობა. იგი უზრუნველყოფს ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შესაბამისობას ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან, მარეგულირებელ მოთხოვნებთან და კორპორაციულ ღირებულებებთან. ტექნოლოგიების დირექტორი ასევე აქტიურად მონაწილეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებში და ეხმარება ბიზნესს განავითაროს ახალი პროდუქტები, სერვისები და მომხმარებლის გამოცდილება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ფინანსური დირექტორი

ფინანსური დირექტორი (CFO) ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. ფინანსური დირექტორი სტრატეგიულ ფუნქციას ასრულებს ბანკის საერთო მართვაში. ფინანსურ დირექტორს სხვა ფუნქციებთან ერთად ევალება ყველა ფინანსური და ბუქ-ოფისის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობების დაგეგმვის, განხორციელების, მართვის და კონტროლის უპირატესი პასუხისმგებლობა. ეს მოიცავს საზედამხებელო კაპიტალის მოთხოვნებთან შესაფერისობის უზრუნველყოფას, სახაზინო საქმიანობებს, ფინანსურ ანალიზს, სტრატეგიულ დაგეგმვას და ბიუჯეტირებას, ფინანსურ აღრიცხვას, ინოვაციური პროექტების ხელშეწყობას, მარეგულირებელ ანგარიშგებას, გადასახადებს, ფულადი სახსრების მართვასა და საკორესპონდენტო საბანკო საქმიანობას.

დირექტორთა საბჭოს წევრთა ბიოგრაფიები

არმენ მატევოსიანი, დირექტორთა საბჭოს წევრი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე/გენერალური დირექტორი

არმენი გამოცდილი საბანკო მენეჯერია, რომელიც 20 წელზე მეტია ხელმძღვანელობს ევროპისა და კავკასიის რეგიონების სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს. ის სპეციალიზებულია საცალო ბანკინგში, ციფრულ ტრანსფორმაციასა და კომერციულ ოპერაციებში. ამჟამად სს "ჰემ ბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის/გენერალური დირექტორის რანგში ხელმძღვანელობს საქართველოს პირველი სრულად ციფრული ბანკის შექმნის პროცესს, მანამდე არმენი იკავებდა ხელმძღვანელ პოზიციებს "TBI ბანკში" (ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი) და სს "ლიბერთი ბანკში" (საქართველო), სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოგების ზრდაში, ინოვაციების დანერგვასა და საოპერაციო საქმიანობის გაძლიერებაში. არმენს აქვს ფართო გამოცდილება მრავალპროფილური გუნდების შექმნასა და მართვაში, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაფერისობის უზრუნველყოფასა და საბანკო სექტორში სტრატეგიული ტრანსფორმაციის ინიციატივების განხორციელებაში.



განათლება:

მენეჯმენტის ევროპული სკოლა (ESM) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი.

სამუშაო გამოცდილება:

2024 წლიდან დღემდე: სს „ჰემ ბანკი“ დირექტორთა საბჭოს წევრი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე/გენერალური დირექტორი;
2019-2024წწ: სს „თიბია ბანკი“ ბუღალრეთი, რუმინეთი & საბერძნეთი: კომერციული (გაყიდვების) დირექტორი;
2020-2024წწ: სს „თიბია მანი“ (TBI Money IFN S.A. არასაბანკო საფინანსო ორგანიზაცია), დირექტორთა საბჭოს წევრი;
2019-2024წწ: სს „ვივუს. ბგ“ (Vivus.bg EOOD), ბუღალრეთი, მენეჯერი;
01.2018-12.2018წწ: სს „ლიბერთი ბანკი“, დირექტორთა საბჭოს წევრი, საცალო საბანკო საქმიანობის დირექტორი;
01.2010-12.2017წწ: სს „ლიბერთი ბანკი“, გენერალური დირექტორის მოადგილე, დირექტორთა საბჭოს წევრი, საცალო საბანკო საქმიანობის დირექტორი;
06.2009-12.2009წწ: სს „როსბანკი“, რუსეთის ფედერაცია დირექტორის მოადგილე, საცალო საბანკო პროდუქტები და მარკეტინგის მიმართულებით;
02.2009-05.2009წწ: Soci t  G n rale S.A, საფრანგეთი, საერთაშორისო საცალო საბანკო მომსახურების და ფინანსური სერვისების დეპარტამენტი BHFმ (დღეის მდგომარეობით - IBFS), ევროპის დეპარტამენტი, შვილობილი ბანკების კოორდინატორი;
05.2008-01.2009წწ: სს „ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალე“, საქართველო, ბანკის დირექტორთა საბჭოს მრჩეველი;
12.2006-04.2008წწ: სს „ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალე“, საქართველო, კომერციული დირექტორის მოადგილე, საცალო საბანკო საქმიანობა;
08.2005-11.2006წწ: სს „ბანკი რესპუბლიკა“, შიდა აუდიტის უფროსი;
10.2003-07.2005წწ: სს „ბანკი რესპუბლიკა“, დირექტორთა საბჭოს წევრი, ფინანსებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი;
10.1998-09.2003წწ: შპს „რელოკ“, საქართველო, გენერალური დირექტორი;
07.1997-09.1998 მსოფლიო ბანკის CERMA, საქართველო, მთავარი ბუღალტერი;

გიორგი ჩანადირი, დირექტორთა საბჭოს წევრი, ტექნოლოგიების დირექტორი

განათლება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, ბაკალავრის ხარისხი ინფორმატიკაში.

სამუშაო გამოცდილება:

2024 წლიდან დღემდე: სს „ჰემ ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, ტექნოლოგიების დირექტორი;
2022-2024წწ: სს „ჰემ ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი.
2021-2022წწ: სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს დირექტორთა საბჭოს წევრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების და საოპერაციო დირექტორი;
2020-2021წწ: სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საბანკო სისტემების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
2017-2020წწ: შპს „ფეი უნიქარდის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსი;
2010-2012წწ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი.

გიორგი ქეშელაშვილი, დირექტორთა საბჭოს წევრი, რისკების მართვის დირექტორი

განათლება:

თბილისის არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტი, ბაკალავრის ხარისხი წარმოების ეკონომიკასა და მენეჯმენტში
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბაკალავრის ხარისხი ფიზიკაში, მიკროპროცესორულ სისტემებში.

სამუშაო გამოცდილება:

2022 წლიდან დღემდე სს „ჰემ ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი და რისკების მართვის დირექტორი;
2019-2022წწ: შპს „ფეი უნიქარდის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.
2013-2016წწ: შპს „ექსპრეს ტექნოლოჯის“ გენერალური დირექტორი.



2009-2013წწ: სს „საქართველოს ბანკის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი.
2004-2008წწ: სს „ჯორჯიან ქარდის“ გენერალური დირექტორი.
2003-2004წწ: სს „სახალხო ბანკი“ გენერალური დირექტორის მოადგილე.
2002-2003წწ: სს „ინტელექტბანკის“ ცენტრალური ფილიალის მმართველი, დირექტორთა საბჭოს წევრი.
1995-2002წწ: სს „თბილუნისერსალ ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

ირაკლი ჩახნაშვილი, დირექტორთა საბჭოს წევრი, ფინანსური დირექტორი

განათლება:

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში, ფინანსებისა და დაკრედიტების სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

2023 წლიდან დღემდე სს „პეშ ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი და ფინანსური დირექტორი;
2012-2023წწ: სს „კითიბი ბანკი ჯორჯიას“ ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილე.
2008-2012წწ: სს „კითიბი ბანკი ჯორჯიას“ მთავარი ბუღალტრის მოადგილე.
2005-2008წწ: სს „კითიბი ბანკი ჯორჯიას“ განყოფილების უფროსი.
2000-2005წწ: სს „კითიბი ბანკი ჯორჯიას“ ანგარიშგების მენეჯერი.
1999-2000წწ: სს „კითიბი ბანკი ჯორჯიას“ აღრიცხვის მენეჯერი.

რისკის მართვა

რისკის მართვის სტრუქტურა

ბანკი იყენებს რისკის მართვის სრულყოფილ ჩარჩოს, რომელიც ჰარმონიზირებულია ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან. აღნიშნული ჩარჩო ადგენს სტანდარტებს, ინდიკატორებს, სხვადასხვა ორგანიზაციულ-სტრუქტურული რგოლის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს. მის ფარგლებში მუდმივად კონტროლდება და იმართება ბანკის ძირითადი რისკები, რომელთა დეტალური განხილვაც წარმოდგენილია ამ აბზაცში.

რისკების მართვის ჩარჩო მზადდება რისკების მიმართულების მიერ, ხოლო შემდგომ განიხილება დირექტორთა საბჭოს მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს. რისკის მართვის ჩარჩო ეყრდნობა რისკის არიდების ე.წ. „სამი ხაზის“ კონცეფციას.

ბანკის რისკის აპეტიტი, განსაზღვრავს სხვადასხვა რისკის მიმართ ტოლერანტობის მისაღებ დონეებს - რაოდენობრივ და ფინანსურ მაჩვენებლებს. ამგვარად სტრუქტურირებული მიდგომა ხელს უწყობს რისკების პროაქტიულ კონტროლს და რისკების გრძელვადიანი ღირებულების გამოვლენას.

ბანკის მთელი გუნდი ინაწილებს რისკის მართვის პასუხისმგებლობას, განსაკუთრებული აქცენტით ფრონტ-ოფისზე და საოპერაციო სტრუქტურულ ერთეულებზე. რისკის მიმართულება ახორციელებს რისკის მართვის ზედამხედველობას, მაჩვენებლების კონტროლს, რისკის გამოვლენა/თავიდან აცილების მეთოდის შემუშავებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად ეცნობება რისკების დამდგარი და პოტენციური მოვლენების, დაკასირებული ფინანსური დანაკარგების და იმ საფრთხეების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინონ ბანკის მდგრად ფუნქციონირებასა და სტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე.

რისკის მართვა

როგორც ზემოთ აღინიშნა რისკის მართვაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია ბანკის ყველა სტრუქტურულ ერთეულზე. რისკების მიმართულება ახორციელებს რისკების ზოგად კონტროლს/ზედამხედველობას, შეიმუშავებს მართვის, მათ შორის რისკების გამოვლენის და აცილების მოთოდოლოგიას, შეიმუშავებს ნორმატიულ დოკუმენტაციას, აკონტროლებს რისკის დონის ფინანსურ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს, შეიმუშავებს „მისაღები რისკის“ პარამეტრებს (რისკის აპეტიტს), ამზადებს და წარუდგენს ანგარიშგებას დირექტორთა საბჭოს, რისკის კომიტეტს და სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე რისკის მართვის საკითხები დელეგირებულია რისკის მართვის კომიტეტზე. კომიტეტის პასუხისმგებლობები მოიცავს რისკის მართვის პრაქტიკების სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის ზედამხედველობას, რისკის აპეტიტისა და რისკის მართვის პოლიტიკების განხილვა/დამტკიცებას, პასუხისმგებლიანი რისკის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობას და რისკის იდენტიფიცირების და შეფასების პროცესების ზედამხედველობას. კომიტეტი განიხილავს ფაქტობრივი და პოტენციური რისკების პერიოდულ ანგარიშგებას, და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.



ღირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობები მოიცავს რისკების ზედამხედველობას ზოგადად და ბანკის კონკრეტული ბიზნეს აქტივობების ქრილში, ასევე კონკრეტულ პროდუქტთან, მომსახურებასთან ან პროცესთან ასოცირებული რისკის მიტიგაციისა და კონტროლის შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. რისკის მართვის პრაქტიკების ჰარმონიზაციას მარეგულირებელ მოთხოვნებთან და რისკისადმი ტოლერანტობის დადგენილი ფარგლების დაცვას.

რისკის მართვის კულტურა

ბანკში რისკის მართვის კულტურა ემყარება შემდეგს: (ა) სამეთვალყურეო საბჭოს და რისკის კომიტეტის მუდმივ ძალისხმევას რისკის მართვის ნორმატიული გარემოსა და კორპორატიული ტრადიციის დასამკვიდრებლად; (ბ) თანამშრომელთა მუდმივ ტრენინგს და ცნობადობის ამაღლების სხვა აქტივობებს, რაც ავითარებს, თანამშრომელთა, რისკ ფაქტორების გავალისწინებით, ადექვატური და ინფორმირებული ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღების უნარებს; (გ) ღირექტორთა საბჭოს მხრიდან არსებული და ახალი პროდუქტების/სერვისების თაობაზე, ასევე ბიზნეს და საორგანიზაციო გადაწყვეტილებების მიღებისას ასოცირებული რისკ-ფაქტორების აუცილებელ და დოკუმენტირებულ ანალიზზე; (დ) რისკის მართვის პოლიტიკასა და შიდა ნორმატიულ დოკუმენტაციაზე, რაც ჰარმონიზებულია კანონმდებლობასთან და რისკის მართვის საუკეთესო პრაქტიკებთან.

რისკის სრულყოფილად მართვის მიზნით, გამოიყენება ფართოდ გავრცელებული „დაცვის სამი ხაზი“:

- „რისკის მფლობელობის“ ხაზი - ფრონტ-ოფისების, კონტაქტ-ცენტრის და სხვა უშუალოდ მომხმარებელთან ურთიერთქმედებაში მყოფი თანამშრომლები;
- „ზედამხედველობის ხაზი“, კერძოდ რისკის მიმართულება, მისი სტრუქტურული განაყოფებით და ღირექტორთა საბჭო. ამ დონეზე ხორციელდება რისკის მართვა/ანალიტიკა, რისკის მართვის შიდა მარეგულირებელი გარემოს შექმნა და განვითარება;
- შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის რისკის მიმართულების პერიოდულ აუდიტს რათა რიგ სხვა საკითხებთან ერთად დადგინდეს ბანკის მიერ დეკლარირებული პრინციპების, ასევე რეგულატორული მოთხოვნების რეალურ ბიზნეს-აქტივობაში გამოყენების და დაცვის ხარისხი.

რისკის აპეტიტი

რისკის აპეტიტი განისაზღვრება ბანკის მუდმივად ცვალებადი რისკების პროფილის გათვალისწინებით, ბანკის რისკის დასაშვები დონის ჩარჩო რეგულარულად გადაიხედება, ახლდება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რათა გარანტირებულ იქნას რისკის აღების სასურველ დონესთან შესაბამისობა.

თითოეული რისკისთვის განისაზღვრება რისკის რაოდენობრივი მაჩვენებლები და რისკის აპეტიტი. რისკის აპეტიტის პარამენტრები გადაიხედება და ახლდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად სტრატეგიის, საბაზრო პირობების ან სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების ცვლილების შემთხვევაში.

რისკის იდენტიფიკაცია

რისკის იდენტიფიკაცია ბანკის რისკის მართვის პროცესის საფუძველს წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იდენტიფიცირების პროცესში სისტემურად გაანალიზდეს ბანკის დაცვის ხაზებიდან და გარე წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია. ბანკში რისკის იდენტიფიცირების პროცესი იმართება რისკების მიმართულების მიერ.

რისკის შეფასება

რისკის შეფასება გულისხმობს ბანკის წინაშე არსებული ძირითადი რისკების - მათ შორის საკრედიტო, საბაზრო, ოპერაციული და ლიკვიდურობის რისკების - სისტემატურ შეფასებას და მონიტორინგს. პროცესი მოიცავს როგორც თვისობრივ, ასევე რაოდენობრივ ანალიზს, რათა დადგინდეს სხვადასხვა რისკის სცენარების პოტენციური გავლენა ბანკის ფინანსურ სიჯანსაღეზე. ეს შეფასება ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, რისკების მართვის ეფექტურ სტრატეგიებს და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას.

რისკის მიტიგაცია

რისკის მიტიგაცია მიმართულია რისკების შესაძლო ნეგატიური შედეგების შემცირებაზე. ბანკი პროაქტიული მიდგომის საფუძველზე შეიმუშავებს და ნერგავს ჰარმონიზებულ რისკის მართვის პოლიტიკებს და ჩარჩოებს.

რისკის მიტიგაციის ღონისძიებები მოიცავს საკრედიტო რისკების დივერსიფიკაციას, უზრუნველყოფისა და



გარანტიების გამოყენებას, საბაზრო რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტების დანერგვას და საოპერაციო რისკებთან გამკლავების მკაცრ შიდა კონტროლსა და პროცედურებს.

რისკის მონიტორინგი და ანგარიშგება

რისკების მონიტორინგი და ანგარიშგება ბანკის რისკის მართვის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია. ბანკი იყენებს რისკის მართვის ტექნიკურ და პროცედურულ საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფს აღებული რისკების აპეტიტთან შესაბამისობის მუდმივ კონტროლს და ანგარიშგებას.

შიდა კონტროლის სისტემები

შიდა კონტროლის მექანიზმები ვრცელდება მაღალი და კრიტიკული რისკის პროცესების შეფასებაზე, ტესტირებასა და მიკვლევადობაზე, ამავდროულად ორიენტირებულია რისკების შესახებ ცნობადობის ამაღლებასა და შიდა კონტროლების განვითარებაზე. ეს მიდგომა ხელს უწყობს შიდა კონტროლის კულტურას, რომელიც ასახავს ჩვენს პასუხისმგებლობას შიდა კონტროლების და რისკის მართვის მიმართულებით.

სტრეს-ტესტი და გაუთვალისწინებელ ვითარებებში მოქმედებების დაგეგმვა

ბანკი ახორციელებს ფინანსური მაჩვენებლების შემოწმებას ისეთ პირობებში, რომლებიც არ შეესაბამება საბაზისო მოლოდინებს. ამ მიზნით ბანკი ითვალისწინებს სხვადასხვა სტრესულ სცენარებს სისუსტეების იდენტიფიცირების, პოტენციური ზარალის დაანგარიშების და რისკის მიტიგაციის ღონისძიებების შესაბამისობის შეფასების მიზნით.

სტრეს-ტესტის ანალიზთან ერთად, გაჯანსაღების გეგმა სტრატეგიული გეგმის ფუნქციას ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტისთვის, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სტრესული პირობებისთვის მზაობას. გარდა ამისა ხორციელდება გაჯანსაღების გეგმის შემუშავება, რომელშიც ასახულია მაკროეკონომიკური და სხვა გარეშე ფაქტორების უარყოფითი გავლენისადმი ბანკის მდგრადობის ამაღლების ღონისძიებები.

საკრედიტო რისკი

2024 წლის განმავლობაში ბანკს არსებითი საკრედიტო რისკები არ აუღია, გარდა, რისკებისა რომელიც წარმოიშვა ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებში მოკლევადიანი განთავსებებიდან. აღნიშნულ რისკის პოზიციაზე შეიქმნილია შესაძლო დანაკარგების რეზერვი.

სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR)

ლარის პოტენციური არსებითი გაუფასურება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, თუმცა 2024 წლის განმავლობაში ბანკს სავალუტო საკრედიტო რისკი არ გააჩნდა.

კონცენტრაციის რისკი

ბანკის პორტფელის დივერსიფიცირება სექტორების და ცალკეული მსესხებლების მქონე კრედიტორებს შორის, შესაძლებელს ხდის კონცენტრაციის რისკების დასტაბილურებას. 2024 წლის განმავლობაში ბანკს კონცენტრაციის არსებითი რისკები არ გააჩნდა.

კონტრაჰენტის რისკი

ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური კონტრაჰენტისთვის, ასევე პორტფელის დონეზე, რაც ზღუდავს ზარალის რისკს. 2024 წლის განმავლობაში ბანკს კონტრაჰენტის არსებითი რისკები არ გააჩნდა.

დაფინანსების და ბაზრის ლიკვიდობის რისკები

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი შეიძლება არ ფლობდეს საკმარის ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებს თავისი მოვალეობების და ვალდებულებების დროულად შესასრულებლად ან აღნიშნული რესურსები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მაღალ ფასად.

ბანკის ლიკვიდობის რისკს მართავს ფინანსების მიმართულება. რისკის მართვის მიმართულება პასუხისმგებელია პროცედურების და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე. ბანკი ინარჩუნებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდობის რისკების სამართავად.

ასევე ბანკის ლიკვიდობის რისკის მართვა მოიცავს მისი მიმდინარე დეპოზიტების ვადიანობის შეფასებას. შეფასება ეფუძნება კლიენტთა ანგარიშზე ნაშთების ცვალებადობასთან დაკავშირებული განვლილი ინფორმაციის სტატისტიკურ მეთოდებს ასეთის არსებობის შემთხვევაში.



საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადები ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორიც არის საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი და საკუთარი კაპიტალის ფასები.

საბაზრო რისკის მართვის თვალსაზრისით, ბანკის მიზანია ბიზნეს სტრატეგიის მხარდაჭერა, მარეგულირებლის და სტრეს-ტესტთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და ბანკის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარის უზრუნველყოფა. 2024 წლის განმავლობაში ბანკს საბაზრო რისკები არ გააჩნდა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ვალუტის გაცვლითი კურსის პოტენციური ცვლილებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. ეს რისკი იქმნება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამობით მიღებული ვალუტის ღია პოზიციებიდან. ბანკი ახდენს ვალუტის კურსის ცვლილების და ამ რისკზე მოქმედი ფაქტორების დინამიკის იდენტიფიცირებას, შეფასებას, მონიტორინგს და კომუნიკაციას.

ბანკი ვალდებულია შეინარჩუნოს ვალუტის ღია პოზიცია საქართველოს ეროვნული ბანკის ლიმიტების შესაბამისად: საქართველოს ეროვნული ბანკი მოითხოვს ბანკის მიერ საბალანსო მუხლებისა და მთლიანი ბალანსის (ბალანსგარეშე პოზიციების ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგს და ასევე ღია სავალუტო პოზიციების შენარჩუნებას ბანკის საწესდებო კაპიტალის 20%-ის ფარგლებში.

2024 წლის განმავლობაში ბანკი სავალუტო რისკთან დაკავშირებულ ყველა შიდა და გარე მოთხოვნასთან შესაბამისობაში იყო.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილებებისგან, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე.

2024 წლის განმავლობაში ბანკს საპროცენტო განაკვეთების არსებითი რისკები არ გააჩნდა.

საოპერაციო რისკები

საოპერაციო რისკი კატეგორიზებულია ბაზელის კომიტეტის მიერ და მოიცავს: შიდა და გარე თაღლითობის რისკებს, გაუმართავი პროცესების ან პროდუქტების, ბიზნესის შეფერხების და სისტემის გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების ან აქტივების ზიანის შედეგად ზარალის მიღების რისკებს. საოპერაციო რისკი ასევე აერთიანებს იურიდიული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით გამოწვეულ ზარალს.

საბანკო სექტორის დიჯიტალიზაციასთან ერთად იზრდება თაღლითობის რისკები. გარე თაღლითობა ბანკის საწინააღმდეგოდ შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებიდან. შიდა თაღლითობის შემთხვევები მომდინარეობს ბანკის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებიდან და მსგავსი შემთხვევები შედარებით ნაკლებია, არ ახასიათებს ზრდის ტენდენცია, თუმცა გავლენის თვალსაზრისით შეიძლება უაღრესად დამაზიანებელი იყოს ბანკისთვის.

საოპერაციო რისკის მართვის და მიტიგაციის მიზნით, ბანკში შექმნილია შესაბამისი რისკის მართვის ჩარჩო - პოლიტიკების, პროცედურების და შიდა რეგულაციების კრებული, რომლებიც ასახულია ზოგადი მიდგომები, რასაც ბანკი იყენებს საოპერაციო რისკის მართვის თვალსაზრისით, განსაზღვრულია პროცესში მონაწილე მხარეები და ამ მხარეების ფუნქცია/პასუხისმგებლობები. რისკის მიტიგაციას ხელს უწყობს ასევე დირექტორთა საბჭოს მუდმივი ძალისხმევა რისკის მართვის საოპერაციო აქტივობებთან მჭიდროდ ინტეგრირებული პრაქტიკების დანერგვის მიმართულებით.

კიბერ-შეტევების რისკები

ბანკის მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე ზრდის მის მიმართ პოტენციური კიბერ-შეტევების რისკს. პოტენციური კიბერ-შეტევების მეტად დახვეწილი და მზარდი ხასიათიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მათ შეიძლება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიონ. მსგავსი რისკები სწრაფად იცვლება და მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებას და ინვესტიციას. ანგარიშების მომზადების პერიოდამდე ბანკზე რაიმე არსებითი კიბერ-შეტევა არ განხორციელებულა.



კიბერ-შეტევების გამოწვევებთან ადეკვატურად ბრძოლის მიზნით, ბანკი მუდმივად აფასებს კიბერ- საფრთხეების ლანდშაფტს და ყველა საფრთხის სცენარს და აქტორებს, ვითვალისწინებთ მათ განზრახვებს და შესაძლებლობებს, ასევე ტაქტიკებს, ტექნიკებს და პროცედურებს, რომლებსაც ისინი იყენებენ ან შესაძლოა გამოიყენონ მათი კამპანიების დროს. ბანკის მიზანია მზად ვიყოთ ნეგატიური მდგრადი საფრთხეების მიმართ.

რეპუტაციის სხვადასხვა რისკი

რეპუტაციის რისკების აღბათობის მიტიგაციის მიზნით, ბანკი მუდმივად მუშაობს, რათა შეინარჩუნოს ძლიერი ბრენდის აღქმა დაინტერესებულ პირებს შორის.

იურიდიული რისკი

იურიდიული რისკი წარმოადგენს ისეთ რისკს, რომელიც უკავშირდება მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სხვა სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევას, მათი არასწორი ინტერპრეტაციის ან გამოყენების შედეგად შესაძლო ფინანსური ზარალის, სანქციების, სასამართლო დავების, ლიცენზიის შეჩერების ან რეპუტაციული ზიანის დადგომის აღბათობას.

იურიდიული რისკი შესაძლოა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების დარღვევის რისკებს;
- სახელშეკრულებო რისკებს - არასათანადოდ შედგენილი, არაზუსტი ან ბუნდოვანი სახელშეკრულებო დოკუმენტებიდან გამომდინარე სამართლებრივ რისკებს;
- რეგულატორის მიერ დაკისრებული სანქციების რისკს, რომელიც გამომდინარეობს რეგულატორის სამართლებრივი აქტებიდან ან/და მითითებებიდან გამომდინარე ვალდებულებების/მოთხოვნების შეუსრულებლობიდან;
- სასამართლო დავების რისკებს;
- პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევის რისკებს;
- სხვა ისეთ რისკებს, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს საკანონმდებლო ნორმების არასწორი ან არასრულყოფილი ინტერპრეტაციიდან.

ბანკის იურიდიული რისკებისაგან დაცვასა და რისკების მიტიგაციას უზრუნველყოფს ბანკის იურიდიული დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება ბანკის იურიდიულ დირექტორს (CLO). იურიდიული დირექტორი ანგარიშვალდებულია ბანკის გენერალური დირექტორის წინაშე.

იურიდიული დეპარტამენტის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ბანკის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და სამართლებრივი რისკების მატერიალიზაციის შედეგად შესაძლო ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. იურიდიული დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის საქმიანობაში სამართლებრივი რისკების დროულად გამოვლენის მექანიზმების გამოყენებასა და განვითარებაზე.

იურიდიული ფუნქცია, როგორც დაცვის მეორე ხაზი ბანკში ინტეგრირებულ დამოუკიდებელ ფუნქციას წარმოადგენს. ბანკის საქმიანობებს და მიმართულებებს აქვთ პასუხისმგებლობა გამოავლინონ და რეაგირება მოახდინონ იურიდიულ რისკზე, თავის მოდვანობის სფეროში, იურიდიულ ფუნქციამდე.

საკანონმდებლო შესაბამისობის უზრუნველყოფა

ბანკის იურიდიული დეპარტამენტის შემადგენლობაში შემავალი საკანონმდებლო შესაბამისობის განყოფილება უზრუნველყოფს ბანკში არსებული პროცესებისა და პროდუქტების საკანონმდებლო შესაბამისობას და აღნიშნული მიზნით:

- აქტიურად არის ჩართული ნებისმიერი პროდუქტის ან/და პროცესის დანერგვის პროცესში და უზრუნველყოფს შესაბამისი პროდუქტის ან/და პროცესის საკანონმდებლო შესაბამისობას, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან, საჭიროების შემთხვევაში მარეგულირებთან კომუნიკაციას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებში განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილებების მუდმივ მონიტორინგსა და ცვლილების თაობაზე ბანკის დირექტორთა საბჭოს ან/და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას;



- საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ბანკში დანერგილი პროცესებისა და პროცედურების, პროდუქტებისა და საბანკო მომსახურების საკანონმდებლო სიახლეებთან შესაბამისობის მოყვანის პროცესის ინიცირებასა და შესაბამისობაში მოსვლის პროცესის მეთვალყურეობას;

ბანკის ზემოაღნიშნული ანალიზის და პროცესების შედეგების საფუძველზე, საკანონმდებლო შესაბამისობის განყოფილება ახორციელებს ცვლილებებს ბანკში შემუშავებულ შიდა დოკუმენტაციაში ან ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს აძლევს რეკომენდაციებს შესაბამისი პროცესებისა და დოკუმენტაციის ცვლილებების/განახლებების შესახებ.

სხვა სახის სამართლებრივი რისკების მართვა და მიტიგაცია

ბანკის იურიდიული დეპარტამენტი უზრუნველყოფს ბანკსა და მესამე მხარეებს შორის დადებული გარიგებების, მათ შორის შესაბამის საბანკო პროდუქტთან ან/და საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული გარიგებების მომზადებასა და სამართლებრივ გამართულობას, რითაც მინიმუმამდეა დაყვანილი არასათანადოდ შედგენილი, არაზუსტი ან ბუნდოვანი სახელშეკრულებო დოკუმენტიდან გამომდინარე სამართლებრივი რისკები.

პოტენციური სასამართლო დავების თავიდან აცილების მიზნით, ბანკის იურიდიული დეპარტამენტი უზრუნველყოფს ბანკის მომხმარებლებისაგან ან/და ბანკის კონტრაპენტებისაგან მიღებული პრეტენზიების დაუყოვნებლივ შესწავლასა და მასზე დროულ რეაგირებას, შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, ბანკის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის დირექტორთა საბჭოს აძლევს რეკომენდაციებს სამართლებრივი რისკების მართვისა და შემცირების მიზნით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევის რისკის მართვა

ბანკს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ექვემდებარება ბანკის იურიდიულ დირექტორს (CLO) და რომლის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობაა ბანკის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დაცვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ინციდენტებზე დროული რეაგირება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებზე თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება, ნებისმიერი პროდუქტის თუ პროცესის დანერგვისას მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება და სხვა. აღნიშნული მიზნით ბანკში შემუშავებულია შესაბამისი პროცედურები და დებულებები, ბანკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს თანამშრომლებისათვის პერიოდული ტრენინგების ჩატარებას და ცნობიერების ამაღლებას, ბანკში დანერგილი პროცესების პერიოდულ მონიტორინგსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დასკვნების მომზადებასა და სხვა.

ფინანსური დანაშაულის რისკი

ფინანსური დანაშაულის რისკი მოიცავს ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, მექრთამეობის, კორუფციის და საერთაშორისო სანქციებისგან თავის არიდების ხელშეწყობის რისკებს.

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა

ბანკს, საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დანერგილი აქვს შიდა კონტროლის ისეთი სისტემა, პოლიტიკა, პროცედურები, პროგრამული უზრუნველყოფა და მექანიზმები, რომლებიც მისი საქმიანობის ხასიათის, მოცულობისა და მასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების პროპორციულია და მოიცავს, მათ შორის, ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რისკზე დამყარებული მიდგომის პრინციპები, მუდმივი მონიტორინგის განხორციელების წესი, დამოუკიდებელი აუდიტის ფუნქცია კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შესამოწმებლად, თანამშრომელთა შერჩევისა და განგრძობითი სწავლების პროგრამა.

ბანკში შექმნილია სტრუქტურული ერთეული - AML დეპარტამენტი, რომლის მიზანია ბანკში ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და საერთაშორისო სანქციების დარღვევის ფაქტების თავიდან აცილება, შესაბამისობის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება, რისკების იდენტიფიცირება, გაანალიზება, მართვა და შემცირება.

ამასთან, ბანკში მოქმედებს „AML/CFT პოლიტიკა- „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც შემუშავებულია მომსახურების უმაღლესი სტანდარტების უზრუნველყოფის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით და ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF)-ის და სხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.



საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობა

ბანკში მოქმედებს „საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობის პოლიტიკა“, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო სანქციების მარეგულირებელ წესებთან ბანკის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბანკი ოპერირებს საერთაშორისო სანქციებთან მიმართებით ნულოვანი რისკის ტოლერანტობის ფარგლებში და აღნიშნული მიზნით, სავალდებულოდ იცავს ყველა მოქმედ ფინანსურ, ეკონომიკურ და სავაჭრო სანქციას. ამასთან, ბანკის მენეჯმენტი ხელს უწყობს ზემოაღნიშნული რეგულაციების დაცვას ბანკის მასშტაბით, რაც გულისხმობს ფინანსური და ადამიანური რესურსების სათანადოდ მობილიზებას.

ბანკი მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფს საერთაშორისო სანქციების მოთხოვნებთან შესაბამისობას და აღნიშნული მიზნით, შეიმუშავებს წესებსა და პირობებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროკავშირის (EU), გაერთიანებული სამეფოს (UK), ამერიკის შეერთებული შტატების (US) და სხვა რელევანტური იურისდიქციების მიერ დაწესებული სანქციების მოთხოვნების დაცვა და აღსრულება.

მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა

ბანკი საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით. ბანკი მოწოდებულია საკუთარი ბიზნეს საქმიანობა წარმართოს ეთიკის უმაღლესი სტანდარტების, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული რეგულაციების მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

ბანკი არის სრულად შეუწყნარებელი მექრთამეობისა და კორუფციის მიმართ. ბანკის პოლიტიკა ეწინააღმდეგება ქრთამის შეთავაზებას, გადახდას, მოთხოვნას, წახალისებას ან/და აღებას, ასევე ქრთამის შეთავაზების ან გადახდის ნებისმიერი ფორმით სტიმულირებას ან/და მხარდაჭერას. ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რომ საფინანსო საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები იყოს სწორი, ზუსტი და დეტალურად დასაბუთებული.

ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი მოწოდებულია დაამკვიდროს კულტურა, რომლის ფარგლებშიც მკაცრად აკრძალული და მიუღებელია მექრთამეობა და კორუფცია.

ზემოაღნიშნული მიზნით ბანკს შემუშავებული აქვს მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მთავარი მიზანია აკრძალოს როგორც ქრთამის შეთავაზება და გადახდა, ისე მისი დაპირება (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნა, აღება, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერა, წახალისება ან პროვოცირება ნებისმიერი ფორმით.

კაპიტალის რისკი

კაპიტალის რისკი ბანკის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას განეკუთვნება. კაპიტალის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკს შესაძლოა არ ჰქონდეს კაპიტალის საკმარისი დონე საქმიანობების წარმოებისთვის და საზედამხებელო კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. ბანკის მიზანია, კაპიტალის მართვის თვალსაზრისით, შეინარჩუნოს კაპიტალის შესაბამისი დონე ბიზნეს სტრატეგიის მხარდასაჭერად, მარეგულირებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის გაგრძელების უნარის დასაცავად.

რისკების ანგარიშგება

ეფექტური რისკების ანალიზი და მართვა ამარტივებს სანდო და დროული ანგარიშგების პროცესს, რომელსაც რისკების მიმართულება ახორციელებს. რისკების მიმართულების ანგარიშგები მოიცავს შემდეგ მთავარ საკითხებს:

- რისკის აპეტიტი;
- კაპიტალის რისკის შედეგები;
- ლიკვიდობის რისკის შედეგები;
- ფინანსური რისკის შედეგები;
- საოპერაციო რისკის შედეგები;
- კიბერ-უსაფრთხოების საკითხები;
- კანონშესაბამისობის საკითხები; და
- სხვა ფინანსური და არაფინანსური რისკები.



ბანკის სტრატეგია და მასთან დაკავშირებული რისკები

სს „ჰემ ბანკი“ ფოკუსირებულია სრულად ციფრული, მასშტაბირებადი და მომხმარებელზე ორიენტირებული საბანკო პლატფორმის ჩამოყალიბებაზე საქართველოში. ბანკის სტრატეგია ემყარება სტაბილური ყოველდღიური საბანკო მომსახურებების - მათ შორის გადახდების, სამომხმარებლო და მიკროსესხების გაცემის, დეპოზიტების მოზიდვის, ასევე სავალუტო ოპერაციების - მიწოდებას, მაღალი ავტომატიზაციისა და ოპერაციული ეფექტიანობის დონით.

ამასთან ერთად, ბანკი ავითარებს ინოვაციურ ფინანსურ პროდუქტებს, სადაც ასევე ხელმისაწვდომი იქნება ციფრულ აქტივებთან დაკავშირებული მომსახურება, ბანკებისათვის კანონით დადგენილი წესების დაცვით. ბანკის მიზანია მდგრადი საცალო საბანკო ბიზნეს მოდელის შექმნა, რაც უზრუნველყოფს რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას, ფინანსურ სტაბილურობას და გრძელვადიანი ღირებულების შექმნას დაინტერესებული მხარეებისთვის. ბანკის სამომავლო გეგმები ითვალისწინებს ეტაპობრივ გაფართოებას შერჩეულ რეგიონალურ ბაზრებსა და ევროკავშირში, საზედამხედველო ნებართვებისა და საბაზრო პირობების გათვალისწინებით.

ბანკის რისკების მართვის ჩარჩო შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ბანკის სტრატეგიული მიზნების მიღწევას და სტაბილური ზრდის უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს ყველა ძირითადი რისკის — მათ შორის ოპერაციული, საკრედიტო, ბაზრის, რეგულატორული და რეპუტაციული რისკების — იდენტიფიცირებას, მონიტორინგსა და მითიგაციას.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ანგარიშგება

ბანკს მიიჩნევს, რომ ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარება და ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს მდგრადი ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული, რაც თავის თავში გულისხმობს როგორც საკუთარ საქმიანობაში, ასევე ბიზნესების დაკრედიტების დროს ESG-ს მაღალი მოთხოვნების დაცვას და აგრეთვე კლიენტებისთვის ეკო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

ბანკი გეგმავს გადახედოს ყველა საოპერაციო საქმიანობას, შესყიდვებსა და დაკონტრაქტებულ გარე კომპანიების მომსახურებებს, რომელთა კონტროლიც შეუძლია (მიმდინარე და დაგეგმილი) და გამოავლინა მათ საქმიანობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტები, რომლებიც იყოფა არაპირდაპირ და პირდაპირ გარემოსდაცვით ასპექტებად, ხდება მათი სრულფასოვანი შეფასება და იმართება სტანდარტების შესაბამისად.

ბანკი, მისი ზრდისა და სტრატეგიული განვითარების პარალელურად, უზრუნველყოფს ESG-ს მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას და გეგმავს შეიმუშაოს პოლიტიკები და პროცედურები გარემოსდაცვით და სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე.

სს „ჰემ ბანკი“, როგორც ციფრული ფინანსური ინსტიტუტი ყოველმხრივ უწყობს ხელს „უქადალდო“ და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას და გავრცელებას. ბანკი აციფრულებს კონტრაქტებსა და განაცხადებს, გადახდისა და გადარიცხვის ჩეკებს, ხელმოწერებს და აბსოლუტურად ავტომატიზებულ, ფურცლის გარეშე მომსახურების დანერგვით გაიმყარებს სოციალურად პასუხისმგებელი ინსტიტუციის იმიჯს.

ანაზღაურების პოლიტიკა

სს „ჰემ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება მტკიცდება ბანკის აქციონერთა საერთო კრების მიერ, ხოლო ღირეუქორთა საბჭოს ანაზღაურებას ამტკიცებს სს „ჰემ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო. ბანკს შემუშავებული აქვს მატერიალური რისკის ამღებ პირთა ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2022 წლის 29 დეკემბერს.

ზემოაღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, მატერიალური რისკის ამღები პირების განსაზღვრისას ბანკი უყრდნობა ბანკის რისკის პროფილზე ზემოქმედების (მათ შორის სამართლებრივი, ფინანსური, საოპერაციო, ინფორმაციული ან/და რეპუტაციული ხასიათის რისკების) ხარისხობრივი ან/და რაოდენობრივი კრიტერიუმებით შეფასებას.

ხარისხობრივი მახასიათებლით განისაზღვრებიან - სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ღირეუქორთა საბჭოს წევრები



და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები, რომელებსაც აქვთ მმართველობითი პასუხისმგებლობა ბანკის კონტროლის ფუნქციებზე ან მნიშვნელოვან ბიზნეს ერთეულზე (სამართლებრივი მხარდაჭერა, ფინანსები, ბუღალტრია და საგადასახდო შესაბამისობა, ფულის გათვრებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების უზრუნველყოფა (AML), ადამიანური რესურსის მართვა, შესყიდვები).

რაოდენობრივი მაჩვენებელი გულისმობს დაშვებას, როდესაც თანამშრომელი, რომლის წინა წლის მთლიანი წლიური ანაზღაურება აღემატება 500,000 ლარს და შეადგენს არანაკლებ დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის მინიჭებულ საშუალო წლიურ ანაზღაურებას და ამავდროულად, იგი საქმიანობს ბანკის მნიშვნელოვან ბიზნეს ერთეულში და მის საქმიანობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ამ ბიზნეს ერთეულის რისკის პროფილზე.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და დირექტორთა საბჭოს წევრების გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციების საფუძველზე, 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით სს „ჰემ ბანკის“ მატერიალური რისკის ამღებ პირად განისაზღვრა ბანკის:

- იურიდიული დირექტორი;
- ადამიანური რესურსის მართვისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსი;
- AML დეპარტამენტის უფროსი.

ამასთან, როგორც ეს პოლიტიკითაა განსაზღვრული ბანკი თავისი სასიცოცხლო ციკლით იმყოფება სტარტაპ ეტაპზე. სტარტაპ რეჟიმში კი სისტემური და ერთგვაროვანი ანაზღაურების პაკეტების ფორმირება არ არის გამართლებული. მმართველი გუნდის ფორმირების მიზნით, ბანკის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის ეტაპიდან განხორციელდა ბანკის ადმინისტრატორობის კანდიდატებსა და ბანკს შორის ოპტიმალური ფინანსური შეთავაზების ფორმირება, რათა ერთი მხრივ კანდიდატს გასჩენოდა ბანკთან თანამშრომლობის სურვილი, ხოლო მეორე მხრივ ბანკს უზრუნველყო საბანკო საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი გუნდის ფორმირება. შესაბამისად, თითოეულ კანდიდატთან მოხდა ინდივიდუალური პაკეტის შეთანხმება.

ამასთან, ადმინისტრატორებისა და მატერიალური რისკის ამღებ პირთა მიღმა, სს „ჰემ ბანკის“ თანამშრომელთა ანაზღაურების განსაზღვრისას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები ამზადებდნენ თანამშრომელთა ანაზღაურების გეგმას და ათანხმებენ მას ადამიანური რესურსის მართვისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსთან და შემდგომ გენერალურ დირექტორთან, რომელიც ხელმძღვანელობს დამტკიცებული ბიზნეს-გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად. კერძოდ, წლის ბოლოს, დეპარტამენტების უფროსები/დირექტორები ამზადებენ მომავალი წლის სახელფასო ბიუჯეტს, სადაც გათვალისწინებულია ვაკანტური პოზიციები, არსებული თანამშრომლებისთვის ანაზღაურების ზრდა და/ან მათი დაწინაურება/პოზიციური ცვლილება. ადამიანური რესურსების და ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსი განიხილავს შეტანილი ცვლილებების მიზანშეწონილობას და დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში საკითხს გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგენს გენერალურ დირექტორს. თავის მხრივ, ამასთან, საკითხის დადებითად გადაწყვეტა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ბანკის მიზნებზე, როლის მნიშვნელოვნება/კრიტიკულობაზე, პოზიციის პასუხისმგებლობის არეალზე, თანამშრომლის მუშაობის პერიოდზე, გამოცდილებაზე, უნარებსა და დამოკიდებულებებზე, ანაზღაურების კონკურენტუნარიანობაზე სხვა ბანკებთან მიმართებაში და ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ბანკის თანამშრომელთა ანაზღაურება/ხელფასი გაიცემა ფულადი სახით.

დამატებით, ბანკი აცნობიერებს, რომ სტარტაპ ეტაპიდან ადრეული ზრდის ეტაპზე გადასავლისათვის, რაც თავის მხრივ მოიცავს სს „ჰემ ბანკის“ მიერ საბანკო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებას, ბანკში საჭირო იქნება იმგვარი სტრუქტურული ერთეულის ფორმირება ან/და პოლიტიკა-პროცედურების შემუშავება, რაც დამატებით უზრუნველყოფს ანაზღაურებასთან დაკავშირებული მმართველი ფუნქციების გაძლიერებას და დეტალური, სკრუპულოზური ანაზღაურების პოლიტიკის იმპლემენტაციას.

რისკების გათვალისწინება ბანკის ანაზღაურების სისტემაში

ბანკში ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები სტარტ-აპ ეტაპისათვის ინარჩუნებენ ბალანსს ბანკის მიზნებს, პროფესიონალების მოზიდვასა და შემდგომ შენარჩუნებას შორის, ასევე სასურველ რისკ-პროფილებს შორის, რაც ბალანსდება თანამშრომლის ფიქსირებული ანაზღაურებით.

სამომავლოდ მოსალოდნელია ბანკის შიგნით იმგვარი ერთეულის ან/და პოლიტიკის ფორმირება, რომელიც ფიქსირებულ ანაზღაურებასთან ერთად დაადგენს თანამშრომელთათვის განსაზღვრავს ცვალებად ანაზღაურებას (კლიენტა მომსახურების სფერო, საკრედიტო მიმართულება და სხვა) და ამ ანაზღაურების კრიტერიუმებს, ვინაიდან ცვალებადი ანაზღაურება მნიშვნელოვანი მოტივაციაა, ხელს უწყობს სწორი ქცევის ფორმირებას, თანამშრომლებისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად შესრულების მიღებას, წახალისებას და ასახავს სპეციფიკურ მოთხოვნებს ბიზნეს-ერთეულსა და ინდივიდუალურ დონეებზე შესრულების მაჩვენებლებისთვის.



მენეჯმენტის ანაზღაურება

დირექტორთა საბჭოს ანაზღაურება ფასს-ის საფუძველზე ერთეულ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში):

	2024	2023
ანაზღაურება და ბონუსები	1,379,746	1,274,267

2024 წლის განვლობაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება 135,510 ლარს შეადგენდა (2023 წელი: 103,429 ლარი).

2024 წლის განვლობაში ანაზღაურების სხვა დეტალები იხილეთ №2 ანგარიშგების ფორმის 24-ე-27-ე ცხრილების შესაბამისად.



ტერმინების განმარტება

- ბანკი – სს „ჰემ ბანკი“
- CTO – ტექნოლოგიების დირექტორი
- CFO – ფინანსური დირექტორი
- ლარი – ქართული ლარი, საქართველოს ეროვნული ვალუტა
- IT – საინფორმაციო ტექნოლოგიები
- ფასს – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
- AML/CFT – ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა